



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ილიაუნის სტუდენტური  
თვითმმართველობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტების მიერ არჩეული გუნდია, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს მათ უნივერსიტეტის ფაკულტა საბჭოებზე. სტუდენტური თვითმმართველობა ზრუნავს, რომ სტუდენტთა აზრი და პოზიცია იყოს გათვალისწინებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ის ასევე იცავს სტუდენტთა უფლებებს და ცდილობს მათი სტუდენტური წლები მეტად საინტერესო, აქტიური და მრავალფეროვანი გახადოს. თვითმმართველობა სტუდენტებს სთავაზობს უამრავ საინტერესო ღონისძიებას: ინტელექტუალურ და სპორტულ კონკურსებს, საჯარო ლექციებს, ტრენინგ-სემინარებს, კულტურულ პროექტებს, გამოფენებს, შემეცნებით და გაცნობით ტურებს საქართველოს მასშტაბით, საქველმოქმედო ღონისძიებებს და ა. შ.

- პრეზიდენტი - საბა გახარია
- ვიცე პრეზიდენტები - საბა მანჯგალაძე, ელენე ქაშიაშვილი, ნინი მიქაძე
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე - ლუკა მათიაშვილი
- სამართლის სკოლის საბჭოს თავმჯდომარე - ანა გეწაძე
- მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე - ლუკა პერტაია
- კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე - ვახო სეზისკვერაძე
- ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე - ელენე ქაშიაშვილი
- სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე - გიორგი ხინტკირია
- განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე - გიორგი ფოცხიშვილი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე- ნინი მიქაძე

## მიზნები და ფუნქციები:

- სტუდენტთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა
- სტუდენტთა სამოქალაქო აქტივობის გაზრდა
- სტუდენტთა ადმინისტრაციული და სასწავლო პრობლემების მოგვარება
- კულტურული, სპორტული, სამეცნიერო და სხვა სახის ღონისძიებების მოწყობა
- სტუდენტთა შესაძლებლობებისა და ნიჭის გამოვლენა
- სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან კულტურული, სპორტული და სხვა სახის ურთიერთობების დამყარება
- სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მართვაში

## საკონტაქტო ინფორმაცია:

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

საბა გახარია

✉: [tvitmartveloba@iliauni.edu.ge](mailto:tvitmartveloba@iliauni.edu.ge)

Facebook-ის ოფიციალური გვერდის ლინკი:

<https://www.facebook.com/tvitmmartvelobailiauni/>

